პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

5 დეკემბერი ხუთშაბათი 1974

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 284 (16105)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ. ი. ბრეჟნევი საფრანგეთში გაემგზავრა

ოთხ დეკემბერს მოსკოვიდან პარიზში სამუშაო ვიზიტით გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

სურათზე: გაცილება ვნუკოვოს აეროდრომზე.



საკდესის ფოტო (მიღებულია საქინფორმის ფოტოტელეგრაფით).

4 დეკემბერს საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დ"ესტენის მიწვევით მოსკოვიდან პარიზში სამუშაო ვიზიტით გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი გააცილეს ამხანაგებმა ა. ა. გრეჩკომ, ვ. ვ. გრიშინმა, ა. პ. კირილენკომ, ა. ნ. კოსიგინმა, თ. დ. კულაკოვმა, კ. ტ. მაზუროვმა, ა. ი. პელშემ, ნ. ვ. პოდგორნიმ, დ. ს. პოლიანსკიმ, მ. ა. სუსლოვმა, ა. ნ. შელეპინმა, პ. ნ. დემიჩევმა, ბ. ნ. პონომარიოვმა, მ. ს. სოლომენცევმა, დ. თ. უსტინოვმა, ვ. ი. დოლგიხმა, ი. ვ. კაპიტონოვმა, კ. თ. კატუშევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრებმა ბ. პ. ბუგაევმა, ვ. ვ. კუზნეცოვმა, გ. ს. პავლოვმა, გ. ე. ცუკანოვმა, ნ. ა. შჩოლოკოვმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატმა ს. კ. ცვიგუნმა, სკკპ ცენტრალური საარევიზიო კომისიის წევრებმა კ. მ. ბოგოლიუბოვმა, გ. კ. ცინევმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილემ ვ. ს. შაპოშნიკოვმა.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად პარიზს გაემგზავრნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ჰ. ა. აბრასიმოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი, საკდესის გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი.

გამცილებელთა შორის აეროდრომზე იყვნენ საფრანგეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში ფ. იუსონი, სსრ კავშირში საფრანგეთის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი საფრანგეთში ჩავიდა

პარიზი, 4 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ვ. ჟისკარ დ"ესტენის მოწვევით დღეს პარიზში სამუშაო ვიზიტით ჩამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევთან ერთად ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ნ. ს. პატოლიჩევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ჰ. ა. აბრასიმოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწეები ა. მ. ალექსანდროვი, ა. ი. ბლატოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი, საკდესის გენერალური დირექტორი ლ. მ. ზამიატინი.

ორლის აეროპორტში თვითმფრინავის კიბესთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივნს ლ. ი. ბრეჟნევს დახვდნენ საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ვ. ჟისკარ დ"ესტენი, საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ჟ. შირაკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჟ. სოვანიარგი, თავდაცვის მინისტრი ჟ. სუფლე, პრეფექტიანი და მეცნიერული კვლევის მინისტრი მ. დ"ორნანო, საფრანგეთის ელჩი სსრ კავშირში ჟ. ვიმონი.

საფრენ მოედანზე სსრ კავშირისა და საფრანგეთის სახელმწიფო ალმებით მორთული პატივისცემის სალონის შენობის წინ ჩამწკრივებული იყო სპატიო ყაიზული. საზეიმოდ ეღერს საბჭოთა კავშირისა და საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

პატივისცემის სალონში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს წარუდგინეს საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწენი.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევს აეროდრომზე დახვდნენ სსრ კავშირის ელჩი საფრანგეთში ს. ვ. ჩერვონენკო, სსრ კავშირის პარიზის საელჩოს დიპლომატიური თანამშრომლები.

ლ. ი. ბრეჟნევს მიართვეს წითელი ვარდების თაიგული.

ცერემონიის დამთავრების შემდეგ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ლ. ი. ბრეჟნევსა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ვ. ჟისკარ დ"ესტენს შორის პატივისცემის სალონში გაემართა პირველი საუბარი.

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა; ჩვენ კარგი განწყობილებით ჩამოვედით და იმედი გვაქვს, რომ საფრანგეთის პრეზიდენტ ვ. ჟისკარ დ"ესტენთან კარგი მოლაპარაკება გვექნება.

აეროდრომიდან სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ჟ. სოვანიარგის თანხლებით გაემართა რამბუიეს სასახლის რეზიდენციაში პარიზის მახლობლად.

□ □

თაობირი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

2-4 დეკემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების საერთო განყოფილებათა გამგეების, აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა ზოგიერთი პარტკომის მდივნების თათბირი.

თათბირზე სიტყვა „პარტიული კომიტეტების საერთო განყოფილებათა ამოცანების შესახებ" წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ე. ა. შევარდნაძემ.

პარტიული კომიტეტების საერთო განყოფილებათა მუშაობის სტილისა და შეთხოვნების შემდგომი სრულყოფის საკითხთა განხილვაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონული კომიტეტების საერთო განყოფილებათა გამგეები და პარტიული კომიტეტების ზოგიერთი მდივანი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთო განყოფილების სექტორის გამგემ ამხ. ტ. ა. კულაკოვმა.

(საქინფორმი).

საბჭოთა დემოკრატიის დროშით

იდეგულად ეღერს საბჭოთა კონსტიტუციაში ჩაწერილი სიტყვები: საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი არის მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფო; სსრ კავშირის პოლიტიკური საფუძველია მშრომელთა დეპუტატების საბჭოები; მთელი ძალაუფლება სსრ კავშირში ეკუთვნის ქალაქისა და სოფლის მშრომელებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების სახით; სსრ კავშირის ეკონომიური საფუძველია მეურნეობის სოციალისტური სისტემა და საწარმოო იარაღებსა და საშუალებებზე სოციალისტური საკუთრება.

„ამხანაგო მშრომელებო! — წერდა ვ. ი. ლენინი, — გახსოვდეთ, რომ ახლა **თვითონ** თქვენ **განაგებთ** სახელმწიფოს... თქვენი საბჭოები — ამიერიდან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებია, სრულუფლებიანი, გადამწყვეტი ორგანოები". მართლაც, ამ სრულუფლებიან ორგანოებში ნათლად არის ასახული მილიონთა, თავისუფალ ხალხთა ძმური, მძლე კავშირის დემოკრატიის ძალა.

საბჭოთა სახელმწიფო ახალი ტიპის სახელმწიფოა, რომლის შექმნით მშრომელმა მასებმა დაამტკიცეს კლასობრივი მტრები, დაიცვეს ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვრები, დაიწყეს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა, აუშენეს განვითარებული სოციალიზმი და ახლა აშენებენ კომუნიზმს.

სსრ კავშირის კონსტიტუცია უდიდეს უფლებებს ანიჭებს ყველას, ვინც ავითარებს სოციალისტურ ინდუსტრიას, სოფლის მეურნეობას, კულტურას, სახალხო მეურნეობის სამსახურში აყენებს ბუნებრივ სიმდიდრეებს, გამოიყენებელ რეზერვებს, ქმნის ჩვენი სამშობლოს ძლიერებას.

საბჭოთა კონსტიტუციის მოქმედების მატიანეში ჩაწერილია ბევრი სახელოვანი ფურცელი. ჩვენი ქვეყნის ხალხები ცხოვრობენ ძმური, საერთო მისწრაფებებით, საერთო ძალლონით იბრძვიან სკკპ XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, მეცხრე ხუთწლედის დავალებებისა და სოციალისტური შეჯიბრების ნაკისრი ვალდებულებების განაღდებისათვის. კონსტიტუცია უფლებრივად უზრუნველყოფს, რომ გადაწყდეს უპირველესი ამოცანა — მშრომელთა კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლების საფუძველზე.

ჩვენს ქვეყანაში შრომა თვითეული შრომისუნარიანი მოქალაქის მოვალეობა და ღირსების საქმეა, შესაბამისად პრინციპისა: „ვინც არ მუშაობს ის არც ჭამს". ახე ხორციელდება სოციალიზმის ცნობილი პრინციპი: „თვითეულისაგან — მისი უნარის მიხედვით, თვითეულს მისი შრომის მიხედვით".

დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობა სუფევს ჩვენს რესპუბლიკაში. კონსტიტუციის დღისათვის საბჭოთა საქართველოს მშრომელები ახალ შრომითს გამარჯვებებს უპაპაკებენ სამშობლოს. ჯერ კიდევ 22 ნოემბერს რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა თერთმეტი თვის გეგმა და თვის ბოლომდე დარჩენილ დროში დამატებით გამოუშვეს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის პროდუქცია. სამრეწველო საწარმოთა შრომითი კოლექტივები ენერგიულად იბრძვიან, რომ უზრუნველყონ ხუთწლედისათვის დასახული წარმოების ზრდის ტემპი.

მნიშვნელოვანი გადაჭარბებით სრულდება მეტი წელი სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები. წლევანდელი წელი რეკორდული მიღწევებით აღინიშნა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოებასა და დამზადებაში. მეჩაიეებმა მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 312 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაკისრ ვალდებულებაზე 20 ათასი ტონით მეტი. რესპუბლიკის მხვნელ-მთესველებმა ჯერ კიდევ აგვისტოს დამლევისათვის შეასრულეს სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის ხუთწლიანი სახალხო-სამეურნეო გეგმა. დამკვრელურ შრომითს ვახტზე დადგნენ მეცხოველეები, მეეარხლეები, მებოსტნეები, მეციტრუსეები, მევენახეები....

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმმა დასახა დიდნაწილნელოვანი ღონისძიებანი, რომ სრულვყოთ შესრულების კონტროლისა და შემოწმების სისტემა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით და მათი შესრულებისათვის მუდამ უნდა გვახსოვდეს:

კონტროლი და შემოწმება მარტო ჩვენი უფლება კი არა, არამედ ჩვენი მოვალეობა, საზოგადოების თვითეული წევრის უფლება და მოვალეობაა;

უნდა გავაუმჯობესოთ შესრულების კონტროლი და შემოწმება სოფლის მეურნეობის, მშენებლობის სფეროში,

უნდა სრულვყოთ საქმის ორგანიზაცია როგორც მართვის ფუნქცია შრომის ორგანიზაციისა და სამართველო შრომის მეცნიერული ორგანიზაციის საფუძველზე;

შესრულების შემოწმებისა და კონტროლის განხორციელებისას უნდა დავიცვათ მასობრიობის, საჯაროობის, ნაკლოვანებების, შეცდომების, ხარვეზების დროულად თავიდან აცილების ლენინური პრინციპები;

ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ცხოვრების ყველა თვისებრივი მაჩვენებლის გაუმჯობესება, მათ შორის ხელმძღვანელობის მაღალი ხარისხი, ეკონომიკის, კულტურის, სახელმწიფო აპარატის, მთლიანად საზოგადოების მართვის მაღალი ხარისხი.

საბჭოთა კონსტიტუციის დღეს რომ აღნიშნავს, ჩვენი რესპუბლიკის ყოველი მშრომელის სიბრძოლო დევიზია — მთელი ძალები მოვახმაროთ ხუთწლედის შესრულებას.

საქართველოს მშრომელებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მუშაობაში აღფრთოვანებით ის, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროო სავსებით უჭერს მხარს ღონისძიებებს, რომლებიც რესპუბლიკაში ხორციელდება სახალხო მეურნეობის პარტიული კონტროლის გაუმჯობესებისათვის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის, კადრების პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის, იდეოლოგიური მუშაობის გაძლიერებისათვის, ყოველგვარ ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა აღმოფხვრისათვის.

უეჭველია, რომ საბჭოთა დემოკრატიის დროშით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით სსრ კავშირის, საბჭოთა საქართველოს მშრომელები მოიპოვებენ ახალ წარმატებებს კომუნიზმის მშენებლობაში.

ა. ნ. კოსიგინის საუბარი ნგუენ ზუი ჩინთან

4 დეკემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ნგუენ ზუი ჩინი, რომელიც მეთაურობს საბჭოთა კავშირში ვიზიტით მყოფ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ეკონომიურ დელეგაციას.

საუბრის დროს განიხილეს საკითხები, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის მეგობრული ურთიერთობის სხვადასხვა მხარეს.

გრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ვ. ი. დოლგიხის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და დაბადების ორმოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვლადიმერ ივანეს-ძე **დოლგიხი** დაჯილდოდეს **ლენინის ორდენით.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე

მოსკოვი, კრემლი, 1974 წლის 4 დეკემბერი.

სსრ კავშირი — ინდოეთი

ინდოეთის ელჩი ლ. ი. ბრეჟნევს

ინდოეთი, 4 დეკემბერი. (საკდესის სპეც. კორ.). ინდოეთის ელჩი ინდოეთ-სსრ კავშირ-ბანგლადეშ-ინდოეთ-ბანგლადეშ-ინდოეთ-ბანგლადეშ-ინდოეთ

საბჭოები — კეთილი საქმის მოთავენი

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

მეგობრობის დიადი ძალა

ოცი წელი ერთად

ოცი წლის წინათ მახარაძის რაიონის ბაილეთის კოლმეურნეობას „უკრაინის", ხოლო უკრაინის სსრ გენიჩესკის რაიონის ერთ-ერთ კოლმეურნეობას „საქართველოს" სახელი ეწოდა. ამან განაპირობა ამ ორი კოლმეურნეობის დამეგობრება, ურთიერთშორის სოციალისტური შეჯიბრების დამკვიდრება.

კოლმეურნეობა „საქართველო" ერთ-ერთი მძლავრი და მრავალდარგოვანი მეურნეობაა უკრაინაში. თვალსაჩინო მიღწევებისათვის 1967 წელს ის ლენინის ორდენით დაჯილდოდა. ორ ათეულ წელზე მეტია მას სათავეში უდგას დიდი სამამულო ომის ვეტერანი, სოციალისტური შრომის გმირი გრიგოლ ლეგუნოვი.

ოცი წლის წინათ დაწესდა პარტიის გენიჩესკის და მახარაძის რაიკომების და რაისაბჭოების აღმასკომების გარდამავალი წითელი დროშა — „მეგობრობის დროშა". 1954 წლის ივლისში მეგობრობის დროშა პირველად მოიპოვა ბაილეთის კოლმეურნეობა „უკრაინამ", შემდგომ წლებშიც იგი ორჯერ გახდა ამ დროშის მფლობელი ჩაის ფოთლის კრეფის გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. ეს კოლმეურნეობა რამდენჯერმე გახდა პარტიის მახარაძის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშის მფლობელი. ეს კოლმეურნეობები ყოველწლიურად აფორმებენ სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულებას და ამოწმებენ მის შესრულებას.

უკრაინელ და ქართველ კოლმეურნეთა მეგობრობის ამსახველი მასალები სხვა ექსპონატებთან ერთად ფართოდ წარმოდგენილია ორთავე კოლმეურნეობის მუზეუმებში.

განსაკუთრებით დიდი წარმატებებია მოპოვებული ხუთწლედის განმასაზღვრელ წელს. სამეურნეო წელი დასასრულს უახლოვდება, სოფლად კვლავ შემოქმედებითი შრომა ჩქეფს. ბაილეთელმა კოლმეურნეებმა წარმატებით დაამთავრეს ჩაის ფოთლისა და ერთწლიანი კულტურების უხვი მოსავლის აღება-დაბინავება. ამჟამად აქ ციტრუსებს კრეფენ.

კოლმეურნეობა „საქართველოს" მშრომელებმა ვადაზე ადრე დაამთავრეს საშემოდგომო კულტურების თესვა, მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნა.

ამ დღეებში ბაილეთის კოლმეურნეობა „უკრაინის" თავმჯდომარემ გივი მეხუზლამ, მეგობრობის მეოცე წლისთავთან დაკავშირებით მისასალმებელი წერილი გაუგზავნა კოლმეურნეობა „საქართველოს" თავმჯდომარეს გრიგოლ ლეგუნოვს. ასეთივე მისალოცი ბარათი მიღებულია უკრაინელი მეგობრებისაგან. მალე ისინი ერთმანეთს შეხვდებიან და შეამოწმებენ შეჯიბრების შედეგებს, იკისრებენ ახალ ვალდებულებებს.

შ. ზაქარიაძე.
ქ. მახარაძე, ს. ბაილეთი.

გულითადი შეხვედრები

ალანის საშუალო სკოლაში წერილი მიიღეს, უკრაინის სსრ ვოროშილოვგრადის ოლქის ქ. ანტრაციტის მე-5 სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის წევრებისაგან. ეს იყო 1971 წლის მარტში. ამ სკოლის პიონერები სთხოვდნენ კავშირის დამყარებას მათთან, როგორც სოციალისტური შრომის გმირის ლამარა ჩხაიძის აღმზრდელ სკოლასთან.

ალანელი მოსწავლეები და პედაგოგიური კოლექტივი გაახარა მეგობრების წერილმა.

1972 წლის 3 სექტემბერს ალანის სკოლის პიონერებმა მიიღეს მიწვევის წერილი. ქ. ანტრაციტის ინტერნაციონალური კლუბის წევრები იწვევდნენ თავიანთთან, სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით ალანელ პიონერებს და პედაგოგიურ კოლექტივს. 4 ნოემბერს 19 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია მასწავლებელ თ. ფირცხალაიშვილის ხელმძღვანელობით ქ. ანტრაციტს ეწვია. უკრაინელმა მეგობრებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს ქართველთა დელეგაციას. დელეგაციის შემადგენლობაში იყო ალანელი სოციალისტური შრომის გმირი ვარვარა ჩხაიძე, რომლის ვაჟი—დიდი სამამულო ომის ფრონტზე გმირულად დაცემული დ. ჩხაიძე დაკრძალულია კიროვოგრადის ოლქის სოფელ მლინოვკაში. მოხუცმა დედამ შვილის საფლავი ნახა და მოაფრქვია ალანიდან წაღებული მიწა.

წელს კი ალანელებმა მოიწვიეს უკრაინელი მეგობრები. და არა მარტო უკრაინელები. ამაღელვებელი იყო ნოემბრის დღეები ალანაში, ლანჩხუთში, წყალწმინდაში, ურეკში... სუფსა, ნიგზუიანი, ჯუჭყვეთი გულთბილად ხვდებოდნენ სტუმრებს. ეს იყო ნამდვილი ფესტივალი. წარმოითქვა მრავალი პატრიოტული სიტყვა, ლექსი, მილოცვები. სტუმრებმა დაათვალიერეს რაიონის ღირსშესანიშნაობანი.

ალანაში დაბრუნებულ სტუმრებს საჩუქრები გადასცა სოციალისტური შრომის გმირმა ლ. ჩხაიძემ, სიტყვებით მიმართეს სკოლის დირექტორმა შ. ქინქლაძემ, მასწავლებლებმა ვ. დანაჩევამ, მათ სამშობლოში სამახსოვროდ წაიღეს ნერგები, ე. ნინოშვილის თხზულებათა კრებული.

ალანელმა მოსწავლეებმა, პედაგოგებმა და მშრომელებმა გულთბილი გაცილება მოუწყვეს ძვირფას სტუმრებს. დაუვიწყარია ეს დღეები როგორც ალანელი მშრომელებისა და მოსწავლეების, ასევე ძვირფასი სტუმრებისთვისაც.

ივ. ჩხაიძე,
დიდი სამამულო ომის ვეტერანი, მასწავლებელი.

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომა.

სხდომაზე მოსმენილი იქნა ინფორმაცია — საქართველოს სსრ მერვე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიაზე დეპუტატების მიერ შეტანილ წინადადებათა განხილვისა და შესრულების მდგომარეობის შესახებ.

აღინიშნა, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, შესაბამისმა სამინისტროებმა, უწყებებმა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელმა კომიტეტებმა დროულად განიხილეს დეპუტატთა მიერ სესიაზე შეტანილი წინადადებანი და მიღებული ზომების შესახებ აცნობეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს. რესპუბლიკის სამინისტროებს, უწყებებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დაეალთან გააძლიერონ კონტროლი დეპუტატთა მიერ სესიაზე შეტანილ წინადადებათა დროულად განხილვა-შესრულებისადმი.

სხდომაზე განიხილეს აგრეთვე საკითხი დასახლებული ადგილებისა და გზების კეთილმოწყობისათვის. ქ. ტყიბულის, ახალციხისა და ლენტეხის რაიონებს ადგილობრივი საბჭოების მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ ტყიბულისა და ორივე რაიონის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები გარკვეულ მუშაობას ეწევიან დასახლებული ადგილებისა და გზების კეთილმოწყობისათვის.

მიმდინარე წელს ტყიბულის მახლობლად კეთილმოწყობილ იქნა 12 კილომეტრი სოფლის გზა, შეკეთდა 3 ხიდი. გზებისა და ხიდბოგირების წესრიგში მოყვანის შედეგად გაიხსნა ახალი საავტომობილო სვლაგეზები.

ახალციხის რაიონში კეთილმოაწყვეს 19 კილომეტრი გზა, აშენდა ორი, და კაპიტალურად შეკეთდა ხუთი ხიდი. გადაჭარბებით შესრულდა გზების მშენებლობისა და რემონტის როგორც გასული წლის, ისე მიმდინარე წლის 9 თვის გეგმები და მთლიანად ათვისებულია ქალაქისა და სოფლების კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი თანხები.

წინა წლებთან შედარებით გაუმჯობესდა დასახლებული ადგილებისა და გზების კეთილმოწყობა ლენტეხის რაიონშიც. აქაც მთლიანადაა ათვისებული სოფლების კეთილმოწყობისათვის გამოყოფილი თვითდაბეგვრის თანხები.

ამასთან ერთად ქ. ტყიბულის, ახალციხის და ლენტეხის რაიონების მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს დასახლებული ადგილებისა და გზების კეთილმოწყობის საქმეში აქვთ მნიშვნელოვანი ნაკლოვანებანი.

როგორც ქ. ტყიბულს, ისევე ახალციხისა და ლენტეხის რაიონებს არ გააჩნიათ სოფლების კეთილმოწყობისა და განაშენიანების გეგმები, არის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის წესების დარღვევის ფაქტები.

ქ. ტყიბულში საგზაო მშენებლობაში „ოლქშეურნეობების საავტომობილო შრომითი მონაწილეობის გეგმას. რაიონის 22 კოლმეურნეობიდან და ორგანიზაციიდან შრომითი მონაწილეობის გეგმა არ შეესრულებია 10 კოლმეურნეობასა და 9 ორგანიზაციას.

როგორც რაიონულ ცენტრში, ისე სასოფლო საბჭოში სათანადო ყურადღება არ ექცევა სანიტარიული წესრიგის დაცვას.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო აღნიშნულ რაიონებს არ უწევს სათანადო ხელმძღვანელობასა და არ ეხმარება სამშენებლო მასალებითა და ტექნიკით.

დასახლებული ადგილების და გზების კეთილმოწყობაში არსებული ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ ამ საქმეში ჯერჯერობით არ არიან ჩაბმული დეპუტატები, მუდმივი კომისიები და მოსახლეობა; ამასთან ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, წარმოება-დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი სათანადო მონაწილეობას (აწყურის, პამაჯის, წყალთბილის საბჭოთა მეურნეობები, ხეოთის კოლმეურნეობა, სატყეო მეურნეობა და სხვ.).

კიდევ უფრო ცუდ მდგომარეობაშია დაბის ჭუნები და სოფლებთან დამაკავშირებელი აუგალობრივი მნიშვნელობის გზები ლენტეხის რაიონში. კოლმეურნეობები და საწარმოები არ აასრულებენ ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობაში საკალდებულო შრომითი მონაწილეობის გეგმას. რაიონის 22 კოლმეურნეობიდან და ორგანიზაციიდან შრომითი მონაწილეობის გეგმა არ შეესრულებია 10 კოლმეურნეობასა და 9 ორგანიზაციას.

როგორც რაიონულ ცენტრში, ისე სასოფლო საბჭოში სათანადო ყურადღება არ ექცევა სანიტარიული წესრიგის დაცვას.

საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტრო აღნიშნულ რაიონებს არ უწევს სათანადო ხელმძღვანელობასა და არ ეხმარება სამშენებლო მასალებითა და ტექნიკით.

დასახლებული ადგილების და გზების კეთილმოწყობაში არსებული ზემოაღნიშნული ნაკლოვანებანი გამოწვეულია იმით, რომ ამ საქმეში ჯერჯერობით არ არიან ჩაბმული დეპუტატები, მუდმივი კომისიები და მოსახლეობა; ამასთან ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, წარმოება-დაწესებულებისა და ორგანიზაციის ხელმძღვანელი სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება დასახლებული ადგილების კეთილმოწყობას. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოები არ იყენებენ კანონით მინიჭებულ უფლებას, რომ დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობის სამუშაოებში ჩაებან კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები, დაწესებულებები და სხვა ორგანიზაციები. არ უზრუნველყოფენ ამ ორგანიზაციებისათვის მათი საუწყებო დაქვემდებარების მიუხედავად გამოყოფილი კეთილმოწყობის თანხების გაერთიანებასა და მათ დანიშნულებისამებრ გამოყენებას.

პრეზიდიუმის სხდომამ იმსჯელა „მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის მდგომარეობის შესახებ" საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 30 მაისის დადგენილების შესრულების მამდინარეობის თაობაზე.

აღინიშნა, რომ ამ დადგენილებისა და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ეფექტურობის ამაღლების შესახებ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1973 წლის 24 აგვისტოს დადგენილების შესასრულებლად რესპუბლიკის ადგილობრივმა საბჭოებმა, აღმინისტრაციულმა ორგანოებმა, შესაბამისმა სახელმწიფო და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა გარკვეული მუშაობა გაწიეს მოსახლეობის მართლშეგნების ამაღლებისა და სოციალისტური კანონიერების დარღვევებისადმი შეუბრალებლობის სულისკვეთებით მათი აღზრდისათვის.

საბჭოების სესიებზე, აღმასრულებელი კომიტეტებისა და მუდმივი კომისიების სხდომებზე უფრო ხშირად იხილავენ მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის საკითხებს, რომლის მომზადებასა და დასახულ ღონისძიებათა განხორციელებაში ფართოდ არიან ჩაბმული დეპუტატები, ადმინისტრაციული ორგანოების აქტივი და იურიდიული საზასურის მუშაკები.

ინერგება იურიდიული ცოდნის პროპაგანდის ახალი ფორმები და მეთოდები, მეტი ყურადღება ეთმობა სამართლებრივი აღზრდის ეფექტიანობას, გაფართოვდა სამართლებრივი ცოდნის სახალხო უნივერსიტეტებისა და საზოგადოება „ცოდნის" პირველადი ორგანიზაციების ქსელი.

ამასთან ერთად, მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდის დონე ჯერ კიდევ სრულად ვერ შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებსაც სკკპ XXIV ყრილობისა და საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბოლო პლენუმების გადაწყვეტილებები გვისახავენ რესპუბლიკაში კანონიერების, სახელმწიფო და შრომის დისციპლინის შემდგომი განმტკიცებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ხშირად ლექციათ-მოხსენებები, კონფერენციები და მიზნობრივი შეხვედრები ზოგად თემებს ეძღვნება, არ ითვალისწინებენ რაიონსა თუ კოლექტივში არსებულ ფეტეურ მდგომარეობას, მართლწესრიგისა თუ შრომითი დისციპლინის დამახასიათებელ დღეებებსა და სხვა. ამიტომ, სამართლებრივი პროპაგანდა ყოველთვის სათანადო პრაქტიკულ ეფექტს არ იძლევა. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო და საზოგადოება „ცოდნა" მასობრივ პროპაგანდისტულ ღონისძიებათა უმრავლესობას აწყობენ რაიონულ ცენტრებში და იშვიათად რესპუბლიკის მორეულ რაიონებში, რაიონების ცენტრებიდან დაშორებულ სოფლებსა და ორგანიზაციებში. ასე მაგალითად, იუსტიციის სამინისტროსა და საზოგადოება „ცოდნას" ლექციამოხსენებები არ ჩაუტარებიათ რესპუბლიკის 22 რაიონში (მაიაკოვსკის, მესტიის, სიღნაღის, ლენტეხის, ხობის, საჩხერის და სხვა რაიონები).

მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდის საქმეში სუსტადაა გამოყენებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა შესაძლებლობანი. კულტურის სახლებში, კლუბებსა და მასობრივ ბიბლიოთეკებში მცირეა აგიტაციის თვალსაჩინო საშუალებანი და პოპულარული იურიდიული ლიტერატურა,

სამართლებრივ საკითხებზე გამოშვებული მასობრივი, პოპულარული და საცნობარო ლიტერატურის თემატიკა და ტირაჟი ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას, სისტემატიურად არ სრულდება ასეთი ლიტერატურის გამოცემის გეგმები.

მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები აქტიურად არ მონაწილეობენ სამართლებრივ პროპაგანდაში.

ნაკლოვანებებია ახალგაზრდობის სამართლებრივი სწავლებისა და აღზრდის საქმეში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფ საათანადო ეფექტურობას [illegible] საქართველოს სსრ [illegible] ... ეროვნულ [illegible] ... ინსტიტუტ[illegible] ... ინსტიტუტ[illegible] ... ბა და სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდა.

რესპუბლიკის მშრომელთა დეპუტატების ზოგიერთი ადგილობრივი საბჭო ჯეროვანი პასუხისმგებლობით არ ეკიდება მოსახლეობაში სამართლებრივი პროპაგანდას, ამ საქმეში ნაკლებად ამყარებს საბჭოების მუდმივ და აღმასკომებთან არსებულ კომისიებს, დეპუტატებს, ინტელიგენციას, საზ-ჭოთა აქტივს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილი იქნა აგრეთვე საკითხები — „შრომის ვეტერანის" მედლით რესპუბლიკის მშრომელთა დაჯილდოების შესახებ. შეტანილ იქნა ცვლილებები და დამატებები საქართველოს სსრ შრომის კანონთა კოდექსსა და საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის, საქართველოს სსრ ადვოკატთა კოლეგიების დებულებაში და სხვ.

ყველა განხილულ საკითხზე მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრმა ამხ. ვ. მაისურაძემ, რესპუბლიკის პროკურორმა ამხ. ა. ტაკიძემ, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. დ. ლორიკამ, საქართველოს სსრ საავტომობილო გზების მინისტრის მოადგილემ ამხ. ო. შუკაკიძემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ამხ. გ. სერიოდინმა, ტყიბულის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. ა. ქორჩაშვილმა, ლენტეხის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. ტვილდიანმა.

(საქინფორმი).

შრომობენ • სწავლობენ

საბჭოთა კონსტიტუციის დღეს საკუთარ შემოქმედებითს ანგარიშს აბარებს ყოველი საბჭოთა ადამიანი, უპატაკებს, თუ როგორ გამოიყენა შრომისა და სწავლის დიდი უფლება. **ს ურ ა თ ებ ზ ე:** მარცხნივ — წლევანდელი დავალება ვადამდე, საშვიდნოემბრო დღესასწაულისათვის შეასრულეს თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხნის მუშებმა შოთა საგანელიძემ და კოტე დუდაშვილმა. მარჯვნივ — საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტები გამოოვლათ ტექნიკის ლაბორატორიულ მეცადინეობაზე.

შ. ჩხეტიანის და ს. კილაძის ფოტო.

დიდი პასუხისმგებლობა

მძღოლი და მოსავალი

რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სამინისტროს საწარმოების მოწინავე მუშაკთა კრება

თავის მისასალმებელ წერილში საქართველოს მეჩაიეთა დიდ გამარჯვებასთან დაკავშირებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ეს ღირსშესანიშნავი წარმატება მიულოცა ყველას, ვინც წვლილი შეიტანა მის მიღწევაში. ეს ეხებოდა ავტოტრანსპორტის მუშაკებსაც, რომლებმაც წელს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვაში.

ავტოტრანსპორტის მუშაკთა საქმიანობის გაუმჯობესებამ წელს ხელი შეუწყო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის მუშაობის მაღალი მაჩვენებლების მიღწევას. ტრანსპორტი ხომ საწარმოო პროცესების გაგრძელება, სახალხო მეურნეობის უდიდესი ორგანიზმის არტერიაა. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ავტოტრანსპორტის მუშაობას ჩაის, ყურძნის, კარტოფილის, ბოსტნეულის, სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის მოსავლის აღებისა და გადაზიდვის პერიოდში.

მთლიანად საქართველოს სსრ ავტოტრანსპორტის სამინისტროს საწარმოთა კოლექტივებმა ხუთწლედის დამდეგიდან გეგმის გადაჭარბებით გადაზიდეს 5 მილიონ ტონაზე მეტი სახალხო-სამეურნეო ტვირთი. მაგრამ სისტემის მუშაკებმა განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლები მოიპოვეს წელს. ავტომეურნეობათა საქმიანობაში ფართოდ გავრცელდა ტვირთზიდვის პროგრესული ფორმები, ტექნიკური პროგრესის მიღწევები.

მიმდინარე წლის სახელმწიფო გეგმის შესრულებისა და სასოფლო-სამეურნეო ტვირთის გადაზიდვაში ავტოტრანსპორტის მუშაკთა ამოცანებს მიეძღვნა საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებლის მოწინავე ნუშაკთა კრება, რომელიც თბილისში გაიმართა.

კრებაზე მოხსენება გააკეთა რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის მინისტრმა შ. დავითაშვილმა, რომელმაც დაწვრილებით გააანალიზა სისტემის საწარმოთა საქმიანობა, წარმატებანი და აღნიშნა გამოუყენებელი რეზერვები.

შეკრებილნი ტაშით შეხვდნენ ბათუმის № 2655 ავტოკოლონის მძღოლის ჰ. ხუციშვილის სიტყვებს, რომელმაც თქვა:

— ვიგრძენი თუ არა მე, მუშამ, ის ასალი, რაც დღეს თანამემდივრულად ხორციელდება რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ყველა უბანზე? რა თქმა უნდა, ვიგრძენი. და ჩვენ კარვად გვესმის: ეს მიღწეულია იმის შედეგად, რომ მშრომელთა ფართო მასები მხურვალედ უჭერენ მხარს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ აღებულ კურსს — წარსულში არსებული სერიოზული ნაკლოვანებების, ნეგატიური მოვლენების ლიკვიდაციის კურსს. ეს მხარდაჭერა უწინარეს ყოვლისა გამოვლინდა მისწრაფებით ვიშრომოთ კიდევ უფრო ნაყოფიერად, არ შევურეგდეთ უწესრიგობას, განვამტკიცოთ დისციპლინა. ამიტომ პარტიის ზრუნვის პასუხად ვიბრძოლებთ ახალი წარმატებებისათვის, რადგან საერთო წარმატება ხომ თვითეულის წვლილისაგან შედგება.

ამბ. ხუციძეს ილაპარაკა მუშური სიამაყის შესახებ, თქვა, რომ მას უნდა ვუნერგავდეთ ახალგაზრდებს, თვითეული მუშაკი აღვზარდოთ ისე, რომ მისთვის უცხო იყოს თვით აზრიც კი არაპატიოსნები. შემოსავლის შესახებ. მან შეკრებილთ მოუწოდა გააძლიერონ ბრძოლა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ, შექმნან ჯანსაღი მორალური კლიმატი თვითეულ კოლექტივში, რაც უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია მის წევრებზე და ეს არის აბსოლუტური უმრავლესობის მისწრაფება. დღეს ყველა პირობაა წარმატებისათვის ამ ბრძოლაში.

ორატორმა აღძრა საწარმოო ხასიათის მთელი რიგი საკითხები. მაგალითად, ყოველთვიურად ამ ავტოკოლონის მძღოლებს აჭარის მაღალმთიან რაიონებში ათასობით ტონა სხვადასხვა ტვირთი მიაქვთ. ავტომობილების 70-80 პროცენტი გარაჟში ცარიელი ბრუნდება. გარდა ამისა, რთული რელიეფი აგრძელებს 10-12-დან 24 საათამდე რეისში ავტომობილის ყოფნის დროს. ეს უარყოფით გავლენას ახდენს მძღოლთა გამომუშავებაზე. მათი დღიური გამომუშავება მეტად მცირე გამოდის. კარგი იქნებოდა, რომ შესაბამისმა ზემდგომმა ორგანოებმა შეცვალონ ასეთი მდგომარეობა.

კიდევ ერთი საკითხი, რომელიც ამხ. ხუციძემ და მთელმა რიგმა სხვა ორატორებმა აღძრეს ის არის, რომ უფრო ზუსტად უნდა დაიგეგმოს ავტოტრანსპორტის მუშაობა ალოობის დროს, რათა არ იყოს არამწარმოებლური მოცდენები დატვირთვისა და გადმოტვირთვისას. ბრძოლა მოცდენების წინააღმდეგ საჭირო რაოდენობის ავტომობილებზე ტვირთის გამგზავნელთა დასაბუთებული განაცხადიდან იწყება. ამ დროს კი, ზოგიერთი დაწესებულებისა და საწარმოს ხელმძღვანელობას რატომღაც მიაჩნიათ, რომ ტრანსპორტის არარაციონალური გამოყენება და ჯარიმები მოცდენებისათვის სრულებითაც არ არის სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა. მიმდინარე წლის ცხრა თვეში მარტო ერთი ავტოკოლონის დროის დაკარგებს თუ გამოვიანგარიშებთ, მივიღებთ, რომ იგი საკმარისი იქნებოდა ათ კილომეტრზე 130 ათას ტონაზე მეტი ტვირთის გადასაზიდად! ამხ. ხუციძეს მიაჩნია, რომ ასეთი უყაირათობის უშუალო დამნაშავეებს ადმინისტრაციული და მატერიალური პასუხისმგებლობა უნდა ეკისრებოდეთ.

ჩაის ფოთლის კრეფისათვის, თქვა ორატორმა, ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლმა რ. ძარღვამ, ჩვენ, ავტოტრანსპორტის მუშაკები, შუა ზაფთრიდანვე ვემზადებით. ტექნიკას სათანადოდ ვაწესრიგებთ. სხვაგარად ვერ მივაღწევთ სატრანსპორტო კონვეიერის შეუფერხებელ, ზუსტ მუშაობას მიმღები პუნქტებიდან ჩაის ფაბრიკებამდე. წელს ჩვენი საწარმოს კოლექტივმა გადაზიდა 21 ათასი ტონა ჩაის ფოთოლი — გეგმაზე ათასი ტონით მეტი. ამასთან არ ყოფილა ტრანსპორტის გამო ჩაის გაფუჭების ან მისი ხარისხის შემცირების არცერთი შემთხვევა. ეს არის ა. არდიანს, შ. ჩერქეზიას, შ. ახალაიას, შ. მარგიანის, გ. თარბას და ბევრ სხვა მძღოლის თავდადებული შრომის შედეგი.

ჩაბმულია რა შეჯიბრებაში დევიზით „დღეს ვიმუშაოთ უფრო კარგად, ვიდრე გუშინ" მახარაძის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივმა წელს მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა; ყველა მაჩვენებლის მიხედვით წლიური გეგმა უკვე შეასრულა 22 ნოემბრისათვის და ახლა მომავალი წლის ანგარიშში მუშაობს. ეს კრებაზე განაცხადა მძღოლმა ი. თავდუმაძემ. წელს, თქვა მან, განსაკუთრებით ვცდილობდით დროულად და ხარისხიანად გადაგვეზიდა სასოფლო-სამეურნეო ტვირთი. ბევრი რამ უნდა გაგვეკეთებინა რაიონის ძირითადი დარგის პროდუქციის — ჩაის ფოთლის ტრანსპორტირებისათვის. რაიონის მშრომელებმა წელს მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 54 ათას ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო". ამ უხვი, რეკორდული მოსავლის გადაზიდვა ადვილი როდი იყო, ამიტომ მძღოლებს უჭირდათ, განსაკუთრებით „პიკ-დღეებში", მაგრამ ამოცანა წარმატებით გადავწყვიტეთ. მახარაძის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მუშაკებმა გადაზიდეს აგრეთვე ათასობით ტონა ხილი, კარტოფილი, შაქრის ჭარხალი და სხვა პროდუქცია. ამისათვის ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივს მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და რესპუბლიკის პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა, მიიღო ფულადი პრემია. მესამე კვარტალში მუშაობის შედეგებით კი მახარაძის ავტოტრანსპორტის მუშაკები დაჯილდოვდნენ რესპუბლიკის ავტოტრანსპორტის სამინისტროსა და დარგობრივი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

სიამაყის გრძნობით ასახელებდა თავის ამხანაგებს გურჯაანის ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ო. ბარნაძე, საქმისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების მეოხებით საწარმოს კოლექტივი წლის დამდეგიდან მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს გეგმით გათვალისწინებული 62-ის ნაცვლად 67,1-მდე ავტოპარკის გამოყენების კოეფიციენტის ამაღლება. ესოდენ მაღალი მიჯნა მიღწეულია როგორც საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცების, ისე კოლექტივის ყველა რეზერვის მუშაობის ზუსტი დაგეგმვის გზით. კოლექტივში კარგად არის მოწყობილი სოციალისტური შეჯიბრება, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მშრომელთა მორალურ და მატერიალურ წახალისებას, რომლებიც ყველაზე მეტად იჩენენ თავს.

თავისი კოლექტივის სახელით ო. ბარნაძემ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თელავის ავტოსატრანსპორტო საწარმოს კოლექტივი და თქვა, რომ გურჯაანელები სიამოვნებით გაუწიაინებენ მას შეძენილ გამოცდილებას და თავის მხრივ მოხარული იქნებიან ისწავლონ მათგან, გადაალონ ყოველივე საუკეთესო. ორატორმა ილაპარაკა წარმოების ჯერ კიდევ გამოუყენებელი რეზერვების შესახებ, რომლებსაც შეუძლიათ ამაღლონ მისი ეფექტიანობა. მან თქვა, კერძოდ, რომ უფრო კარგად უნდა იყენებდნენ ავტომობილის მისაბმელებს.

მიმდინარე წლის ივლისიდან მე და ჩემი ამხანაგები, თქვა თბილისის № 2651 ავტოკოლონის მძღოლმა ა. ბაბანინმა, ვმუშაობდით სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადაზიდვაზე. ყოველდღიურად გარდაბნის, ჭარნეულის, წალკისა და სხვა რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ას-ასი ავტომანქანა იეზავნებოდა. ტვირთი დროულად და კარგად შეხახული ჩაგვქონდა ადგილზე. ტრანსპორტის მუშაობა მუშაობით კმაყოფილი იყო ყველა — ტვირთის გამგზავნიც და მიმღებიც.

ჯ. გაგნიძის აზრით, ლილოს დამშაადებელ ბაზაში კარგად იყო ორგანიზებული მუშაობა კარტოფილის დამზადების დროს. მიმღებ პუნქტში, მაგალითად, მთელ დღე-ღამეს მუშაობდა სასადილო, მძღოლებს ყოველთვის შეეძლოთ ესადილათ, მიეღოთ ცხელი კერძი. ეს ზრუნვა, რა თქმა უნდა, კარგ გუნებაზე აყენებდა მძღოლებს, კარგ გავლენას ახდენდა შრომისუნაყოფიერებაზე.

ყველას გვახარებს, თქვა ორატორმა, რომ მოსავალი დროზე ავიღეთ და ჩავაბარეთ. ამაში არის არა მარტო ავტოტრანსპორტის მუშაკთა, არამედ ამათი დამსახურებაც, ვინც აქტიურად გვეხმარებოდა ადგილებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, — ბლუხების, მუშების, მოსამსახურეების, სტუდენტებისა და მოსწავლეების დამსახურება.

ამასთანავე ვაგნიძემ აღნიშნა ზოგიერთი მძღოლის შრომისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ფაქტები, მანქანების ცუდი მოსახურებისა და მათი ექსპლოატაციის წესების დარღვევის შემთხვევები. კოლექტივი აქტიურად ებრძვის ყველას. ვინც მას არცხვენს.

№ 1 და №3 ავტოტრესტების მრავალათასიან კოლექტივებს ჯერ არაფოდეს არ გადაუზიდავთ სოფლის მეურნეობის იმდენი პროდუქცია, რამდენიც მიმდინარე წელს, გახაცხადეს ამ ტრესტების მმართველებმა გ. ლობჟანიძემ და ს. ბრეგვაძემ. ყოველდღიურად ამ ტვირთის გადასაზიდად იგზავნებოდა ორჯერ მეტი ავტომობილი, ვიდრე გასულ წლებში.

მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს მიაღწია № 4 ავტოტრესტის კოლექტივმაც, რომლის მმართველმა გ. ემერიძემ განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ საწარმოო სამუშაოთა მოცულობის მთელი მატება მიღებულია მხოლოდ შრომის ნაყოფიერების ზრდ

სახელი და დიდება შრომის ვეტერანებს

დიალოგი ჩემს თანამედროვეთან

თბილისის ამ უბნის მაღალ ჰაერებში, ფოთლებთან ერთად შრიალებენ დროშები. ეს დროშები კუნთმაგარ, საყელომოღებილ, კისერღოხიერ ბიჭებს მოჰქონდათ, რათა ნაძალადევში ახალი თაობების, წინაპართა სისხლით მორწყულ საამქროებსა თუ რკინიგზის ლიანდაგებზე სიხარულის ჩქერალი დაეღვარათ.

საამქროში ... ელექტროჩაქუჩის დადგმა? რამდენი დაკარგა წარმოებამ?

— გეგმები სრულდება?

— სრულდება და გადაჭარბებითაც. მიმდინარე წლის სამივე კვარტალში მივიღეთ გარდამავალი წითელი დროშა საკავშირო შეჯიბრებაში. ჩვენი ქარხანა ძოწინავეთა რიგებში ჩადგა — თქვა მან იმ სიამაყით, რაც ასე უხდება მუშაკაცს, როცა მისი შრომის შედეგიც არის.

კონსტანტინე ილურიძე ქარხანაზე ლაპარაკობს. რამდენსაც შევეკითხები საკუთარ მიღწევებზე, იგი ქარხნის სახელით მიპასუხებს. ამაში ჩანს მისი დიდი პასუხისმგებლობა საერთო საქმისათვის, მისი სიყვარული კოლექტივისადმი. მისთვის უცხოა საკუთარი თავის სიყვარული და პირადი მიღწევებით ყოყოჩობა. მან კარგად იცის, პირად მიღწევებს თუ მთელი წარმოების წარმატება არ სდევს, ისე ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს. ამაში ჩანს მისი სახელმწიფოებრივი მიდგომა ქარხნის ამქამინდელი თუ მომავალი გეგმებისადმი.

მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, გადამწყვეტი წლის გეგმა პირადად თქვენ როდის შეასრულეთ?

— ამ წლის ოქტომბერში.

— მომავალი წლის გეგმას?..!

— სექტემბერში გავანაღდებ, — თქვა უბრალოდ, როგორც სჩვეოდა.

— 45 წელია ერთ საამქროში... ძნელი ან მოსაწყენი ხომ არ არის?

— პირიქით, მე ის გამკვირვებია, ჩვენი ახალგაზრდები წარამარა რომ იცვლიან სამუშაო ადგილებს. ზოგს არსად გული არ უჩერდება. წაიმუშავებს ორ თვეს და სხვაგან გადავა. შეხედავ, სულ ორი-სამი წლის სამუშაო სტაჟი აქვს და უკვე ხუთი ადგილი გამოუცვლია. არ მომწონს ახალგაზრდის ასეთი სულსწრაფობა და, ჩემი აზრით, სამუშაოზე გულაცრუების მიზეზიც ეს არის. ამა დაიკვირდი გლეხს, ეუნახმა ერთი წელი მოსავალი რომ არ მოიცეს, ან მეორე წელს რომ დაინტაყვოს და ცოტა მოისხას, განა გლეხი ეუნახს მიატოვებს? არა, დაუცდის, მოეფერება, უკეთ და ხარისხიანად მოუვლის, ბინდად დაელოდება მის ბარაქას... ისიც არ დაუგვიანებს და შრომის ერთიათად აუნაზღაურებს. ცხოვრებაში კაცმა რომ რიგიანად მონახოს თავისი ადგილი, არ უნდა აჩქარდეს. საერთოდ, მე წინაალმდეგი ვარ, პროფესიას და სამსახურს რომ იცვლიან. სადაც მიგიყვანა ცხოვრებამ — იქ უნდა იდგე, როგორც გუშაგი თავის პოსტზე. სწავლა გინდა? ისწავლე, ვინ გიშლის. ტექნიკუმში შედი, უმაღლესში შედი, საღამოს დასწრებულზე, დაუსწრებელზე... ჩვენ ქვეყანაში კაცს თუ სწავლა უნდა, ყველა გზა-ბილიკი ხსნილი აქვს. სადაც დაიწყე მუშაობა, ცხოვრებაში რა გზაც აირჩიე, იქ გზას კი არ უნდა ეულატო. მე 45 წელია ერთ საამქროში ვმუშაობ და ვერ წარმომიდგენია სხვაგან, სხვა სამქროში როგორ უნდა მიმუშავა. მე ჭკვიანი ვარ და ჩემი ფიქრი ხხოლოდ ის არის კარგი მუშადელი ვიყო... ამას რომ გაიგებს ახალგაზრდა, რაც უნდა მძიმე და უხალისო ეჩქენებოდეს თავისი სამუშაო ადგილი — შეუყვარდება.

სამუშაოს მერე, კონსტანტინე დინჯად გამოვა ქარხნიდან და ფეხით გაუყვება გზას შინისაკენ. უყვარს ფეხით გავლა, ნაძალადევის ჰაერი, მიდის და ფიქრობს თავის შვილებზე, მათ ოჯახებზე. ისინი კარგი სპეციალისტები არიან, ცხოვრებაში მოძებნილი აქვთ თავიანთი ადგილი და დასახულ მიზანს პატიოსნად ემსახურებიან.

სხვანაირად არც შეიძლება, ისინი ხომ ილურიძის შვილები არიან.

— მეგობარო, ილურიძის ადგილსამყოფელს ვერ მომასწავლი? — ეკითხე კარისაკაცს ქარხანაში შესვლისას.

— ამ გზას დაადექი და ვისაც ჰკითხავ, ყველა შენი მეგზური იქნება, — მომიგო მან.

კარგია, როცა გიცნობენ, უფრო მეტიც: როცა ცნობილი ხარ, არა მარტო შენს ქალაქში და შენს რესპუბლიკაში, არამედ მთელ ქვეყანაში. მძიმეა პოპულარობის ეს ტვირთი, მის ტარებას ღონიერი შუნლი და ბეჭი უნდა.

სამეგლო საამქროში ისეთი ხმაურია, რომ ერთ ნაბიჯზე არაფერი ისმის. ეკითხავ და ვუყურებ კონსტანტინეს მუშაობას: გამოზომილია მისი ყოველი ნაბიჯი. არც ერთი ზედმეტი მოძრაობა, არც ერთი დაძაბული ქესტი. სიმსუბუქე ყველაფერში.

რა თქმა უნდა, ეს სიმსუბუქე მოჩვენებითია. იმ დეტალებს, რასაც კონსტანტინე ასანთის ღერებივით ალაგებდა, შეიძლება ორი ჯანმაგარი ბიჭი დასჭირებოდა ასაწევად, მაგრამ საქმე ხომ სიმძიმის აწევა არ არის. ოსტატობა იმაშია, რომ ეს სიმძიმე ვერ იგრძნო. აქ ჩვეკაც არის, გამოცდილებაც, გაკაჟებაც. მთავარი აქ მაინც ზუსტად, ტექნიკურად გაანგარიშებული შრომითი რაციონალიზმია, რაზეც შენდება ყველა პროფესიონალის ოსტატობა.

მუშაკაცი ყოველთვის სიტყვაპუნწია. მას არ უყვარს სიტყვის კორიანტელი. სიტყვას მისთვის საქმის წონა აქვს, ამიტომ ადვილად არ იხარჯება. მას ვერ წარმოუდგენია, თქვას და არ გაკეთოს. შეგბირდეს და გიღალატოს. ვალდებულება აიღოს და არ შეასრულოს.

ყოველ სიტყვას უფიქრდება და ისე ამბობს. არა იმიტომ, რომ შეცდომის ეშინია, არა; მან კარგად იცის, სიტყვას საქმე უნდა მოაყვეს. კონსტანტინე ილურიძის სიტყვა მისი შესაფერისი და ტოლ-სწორია.

— სავსებით სწორია ჩვენი პარტიის ის კურსი, რასაც დღეს დიდი და პატარა ხედავს და გრძნობს, — თქვა კონსტანტინემ, — არ შეიძლება დღეს ადამიანს სალაყბოდ ეცალოს. ახლა ყველამ მკლავები უნდა დავიკაპიწოთ და ჩვენ საგუშაგოებს მივუბრუნდეთ. დაპირებებს შესრულება უნდა. მუშაკაცს დაპირებით კი არა, დანაპირების კარგი შესრულებით აფასებენ. საქმე კი ყელამდეა. ჩვენს ქარხანაში, ჩვენს რაიონში, ქალაქში და მთელ რესპუბლიკაში. შენს საქმეს სხვა არ გააკეთებს და ვერც გააკეთებს. ეი რატომ ვურჩევ ახალგაზრდებს, რომ თავიანთ სამუშაო ადგილებს გაუფრთხილდნენ, მოეფერონ, გული დაუდონ. ტაუოლად როდი არის ნათქვამი, ადგილი კი არ ალამაზებს ადამიანს, არამედ ადამიანი ალამაზებს თავის სამუშაო ადგილს. მთავარია ჩასწედე, მიუხვდე შენს ხელობას და მერე ფეხზაუხრელად იფიქრო, როგორ გადააქციო შენი სამუშაო საყვარელ სამუშაოდ. ამისათვის თავის ტახი არ არის საკმარო. შენი სამუშაო უნდა შეიყვარო და დაიჯერო, რომ შენ დედამიწაზე ამ საქმისათვის ხარ გაჩენილი. თუ ეს შესძელი, ბედნიერი იქნები მთელი სიცოცხლე. ორიოდ დღეც მოგეჩვენება 45 წელი ამ გრიალსა და ხმაურში და ინატრებ ახალ სიცოცხლეს, რომ ისევ აქ მოხვიდე.

ჩვენ ზედმეტი ქათინაურების გარეშე ვგრძნობ ერთმანეთს. კონსტანტინე ილურიძე თავისი საგუშაგოსაკენ მიდიოდა. იმ საგუშაგოდან ძლიერი, პატიოსანი, იმედით სავსე ჩანდა მთელი ქვეყანა.

ნაძალადევში, როცა უნდა გავიარო, ვიცი, დროისაგან გაუხუნარ საოცრებას წავაწყდები. თითქმის ყოველი სახლის კედელზე მარმარილოს ფიქალზე, ოქროთი ამოტეიფრულია ლეგენდად ქცეული სახელები, მაღალი ჯადრები კი ისე შრიალებენ, თითქოს დროშების ტყე იყოს დადგმული.

ROსტომ ბეჟანიშვილი.

ფოტოინფორმაცია



ზაირის რესპუბლიკაში, რომელმაც ამ დღეებში აღნიშნა რევოლუციის მეცხრე წლისთავი, დიდი ყურადღება ეთმობა კვალიფიციური სპეციალისტებისა და ეროვნული კადრების აღზრდას.

სურათზე: მეცადინეობენ სტუდენტები ზაირის რესპუბლიკის დედაქალაქ კინშასას ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში.

კამერა პრეს-საკადესის ფოტო.



ათენი. საბერძნეთის დედაქალაქის ათასობით მცხოვრებმა მიიღო მონაწილეობა ათენის დაღუპულ მშრომელთა ხსოვნისადმი მიძღვნილ დემონსტრაციაში. ახალგაზრდა მუშები და მოსამსახურეები თავიანთი მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ებრძოლნენ სამხედრო ხუნტის დიქტატურას და დაიღუპნენ პოლიციელთა ხელით.

სურათზე: დემონსტრანტები მიუგართებიან პოლიტექნიკური მუზეუმისაკენ, სადაც შარშან ნოემბერში აწამებდნენ და ხოცავდნენ მშრომელებს, რომლებიც სამხედრო დიქტატურის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. „დასაჯეთ ჯალათები!“ — მოითხოვენ მანიფესტანტები.

იუპი-საკადესის ტელეფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ირლანდიის ახალი პრეზიდენტი

დუბლინი, 3 დეკემბერი (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ ირლანდიის ახალი პრეზიდენტი გახდა კ. ო' დოლი, რომლის კანდიდატურა დასახელეა ოპოზიციურმა პარტიამ ფაინა ფაილმა და მხარი დაუჭირეს მთავრობის კოალიციის პარტიებმა — ფინე-გაელმა და ლეიბორისტულმა.

კ. ო' დოლი ამ პოსტზე არჩეულად გამოაცხადეს პრეზიდენტის არჩევნების გარეშე, ვინაიდან მისი კანდიდატურა ერთადერთი აღმოჩნდა.

19 დეკემბერს ირლანდიის ახალი პრეზიდენტი ფიცს დადებს.

საქართველოს გადაწყვეტილება

ანკარა, 4 დეკემბერი. (საკდესი). კონსტიტუციური სასამართლოს გადაწყვეტილებით გაუქმებულია კანონი, რომლითაც თურქეთში მოქმედებდნენ სახელმწიფო უშიშროების სასამართლოები.

ეს სასამართლოები, რომლებსაც მინიჭებული ჰქონდათ ფართო უფლებანი „მემარჯვენე და მემარცხენე მიმდინარეობათა წინააღმდეგ ბრძოლაში“, შეიქმნა ქვეყანაში 1971 წლის 26 აპრილს გამოცხადებული საგანგებო წესების პერიოდში.

ჯ. ფორდი ლ. ი. ბრეჟნევთან შეხვედრის შესახებ

ნიუ-იორკი, 4 დეკემბერი. (საკდესი). ეურნალ „ნიუსუიკისათვის“ მიცემულ ინტერვიუში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. ფორდმა დიდად შეაფასა სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანთან ლ. ი. ბრეჟნევთან შეხვედრა ვლადივოსტოკში, ამასთან განაცხადა, რომ მან ცხადეო საბჭოთა კავშირის გულწრფელი მისწრაფება კონსტრუქციული მოლაპარაკებისადმი, რომელიც მიზნად ისახავს ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებას და ორი ქვეყნის ურთიერთგაგების გაღრმავებას.

„მოლაპარაკების ატმოსფერო, — თქვა ჯ. ფორდმა, — იმთავითვე მეგობრული იყო. დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა კავშირს გულწრფელად სურდა შეთანხმების მიღწევა. ეს არ ნიშნავს, რომ მოლაპარაკების საბჭოთა მონაწილეებს სურდათ დაეთმოთ მათთვის არახელსაყრელი შეთანხმება“.

პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ვლადივოსტოკის შეხვედრის წარმატება ბევრად აიხსნება ლ. ი. ბრეჟნევის პირადი მონაწილეობით. ჯ. ფორდმა თქვა, რომ ვლადივოსტოკის შეხვედრამ საშუალება მისცა მას გასცნობოდა ლ. ი. ბრეჟნევს, როგორც ხელმძღვანელსა და ადამიანს, და აღნიშნა: „ბრეჟნევმა მეტად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს არის ადამიანი, რომელსაც შეუძლია იყოს ხან გულითადი და სასიამოვნო ურთიერთობაში, იხუმროს, ხან კი იყოს სერიოზული და გამოიჩინოს განსაკუთრებული სიმტკიცე“. ეს ძლიერი პიროვნებაა, თქვა შემდეგ ჯ. ფორდმა. იგი იჩენდა სიმტკიცეს, როცა უნდოდა სასურველისათვის მიეღწია, მაგრამ ამავე დროს შეეძლო გაეგო ჩვენი თვალსაზრისიც.

ლ. ი. ბრეჟნევმა, აღნიშნა შემდეგ ჯ. ფორდმა, ვლადივოსტოკის შეხვედრაზე მაშინვე განაცხადა, მის მონაწილეებს ეკისრებათ სერიოზული პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ მიაღწიონ შეთანხმებას ორი უდიდესი ატომური სახელმწიფოს ურთიერთობაში პრობლემათა სტაბილიზაციის შესახებ. განსახილველ საკითხებს იგი მეტად ფართო გაგებით უდგებოდა.

ყოველივე ამას, ჯ. ფორდის თქმით, მოჰყვა ვლადივოსტოკის შეხვედრის წარმატება.

ვაშინგტონში...

ვაშინგტონი, 4 დეკემბერი. (საკდესი). დღეს მუშაობა დაიწყო საბჭოთა კავშირ-ამერიკის სოფლის მეურნეობის დარგში თანამშრომლობის ერთობლივი კომისიის მეორე სხდომამ.

შეხვედრის მონაწილენი განიხილავენ სოფლის მეურნეობის დარგში ეკონომიური და მეცნიერული კვლევის საკითხებს.

ტელეტაიპის ლენტიდან

მოკლედ

● ბელგრადი. იუგოსლავიის პრეზიდენტმა ი. ბროზ ტიტომ დღეს მიიღო აქ ვიზიტით მყოფი პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის დელეგაცია, რომელსაც პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის აღმასკომის თავმჯდომარე ი. არაფატი მეთაურობს. დარბაზობაზე იყვნენ იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო აღმასრულებელი ვეჩის თავმჯდომარე ჯ. ბიედიჩი და სხვა ოფიციალური პირნი.

● ბაღდადი. ისრაელის ჯარების გაყვანა მთელი ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან აუცილებელი პირობაა ახლო აღმოსავლეთში მტკიცე და სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის.

ეს ნათქვამია დღეს აქ გამოქვეყნებულ ერთობლივ კომუნიკეში ერაყში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საფრანგეთის პრემიერ-მინისტრის უაკ შირაკისა და ერაყის რევოლუციური სარდლობის სამჭოს თავმჯდომარის მოადგილის სადამ ჰუსეინის მოლაპარაკების შესახებ. ერაყი, ნათქვამია კომუნიკეში, მიესალმება საფრანგეთის პოზიციას პალესტინის საკითხში, აგრეთვე არაბეთის სხვა პრობლემებში.

● ლისაბონი. იმ პირთა, რომლებსაც ოფიციალური პოსტები ეკავათ სალაზარ-კეტანუს ფაშისტური რეჟიმის დროს, ჩამოერთმევათ პორტუგალიის დამფუძნებელი კრების არჩევნებში მონაწილეობის უფლება, რომელიც მომავალი წლის დამდეგს უნდა გაიმართოს. ეს ნათქვამია მთავრობის დეკრეტში, რომელიც გამოქვეყნდა საარჩევნო კანონის დამატებად.

● ილსამაბადი. პაკისტანის სკოლებისა და კოლეჯების მოსწავლეები, რომლებიც ძნელად მისადგომი და ეკონომიურად ჩამორჩენილი რაიონებიდან ჩამოვიდნენ, განთავისუფლებული იქნებიან სწავლის ქირისაგან, განთქმული ფედერალური სამინისტროს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, მათ უფასოდ მიეცემათ სახელმძღვანელოები და დამხმარე წიგნები. ამას გარდა, მთავრობა კისრულობს მათი კვების, ტანსაცმლისა და ბინის ხარჯებს.

ინფლაციის ახალი ტალღა

ლონდონი, 3 დეკემბერი. (საკდესი). როგორც აქ გახდა ცნობილი, ამ დღეებში ძალაში შევიდა ინგლის-ჩინეთის შეთანხმება, რომლის მიხედვით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხელისუფლებამ ვალდებულება იკისრეს გაძლიერონ კონტროლი იმისადმი, რომ შემცირდეს ჩინელთა იმიგრაცია ჰონკონგში. მოლაპარაკება ამ შეთანხმების დასადებად, წელიწადზე მეტხანს მიმდინარეობდა საიდუმლოდ.

აქ აღნიშნავენ, რომ ჰონკონგის ინგლისელი ხელისუფალნი შემოთთებული არიან უკახასნელ წლებში ჩინეთთა იმიგრაციის გაფუჭებულმა ზრდის გამო. თუ 1971 წელს ჰონკონგში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან ჩავიდა 13.500 კაცი, 1973 წელს ეს რიცხვი 74 ათასამდე გაიზარდა. აქედან 18 ათასზე მეტი კაცი შევიდა არალეგალურად, ყოველგვარი ვიზებისა და დოკუმენტების გარეშე.

ახალი შეთანხმების მიხედვით ჩინეთმა იკისრა ვალდებულება განახორციელოს ღონისძიებანი არალეგალურ იმიგრანტთა ნაკადის შესამცირებლად. გათვალისწინებულია აგრეთვე ამ არალეგალურ ლტოლვილთა რეპატრიაცია ჩინეთში, რომელთა ჰონკონგში დატოვებას არ აპირებენ ინგლისის ხელისუფალნი.

ინგლისი მოითხოვს, რომ ჩინეთმა სანახევროდ შეამციროს ჰონკონგში სამოგზაურო ვიზების გაცემა, ვინაიდან ჩინეთის ხელისუფალნი ჩვეულებრივად სიამოვნებით რთავენ გამგზავრების ნებას ხანგაზმულებსა და ამ პირთ, რომლებსაც არ ძალუძთ ეწეოდნენ ნაყოფიერ შრომას.

ჩინელთა იმიგრაციის პონკონგში

ლონდონი, 3 დეკემბერი. (საკდესი). როგორც ამ ... ბელი, ... ბა ... ბ ... ბ ... ბ

ახალი ლექსები

ნოდარ ჯალაღონია

რევოლუციის მუზეუმი

ფეხაკრეფით შევდივარ, როგორც წმინდა ტაძარში.
თითქოს რევოლუციის წიგნს უყურებ გადაშლილს.
მიცქერიან კედლიდან ლეგენდები ხვალისა.
ხმებიც მესმის
ოცდაექვსი
მამაც კომისარისა.
აგერ თივის კარავი და მზის თავშესაფარი,
ერთ დროს მართლაც ბულული, ახლა უკვე ზღაპარი.
აგერ ლაზოს ხატება და თვალები ნთელი,
დიდი რევოლუციის ერთი ხაკმელ-სანთელი.
აგერ უსამართლობის ჯაჭვით შებორკილები.
მართლაც დიდი რუსეთის მართლაც დიდი შვილები
სიკვდილს თვალში უმზერენ და ამაყად მღერიან,
ჩვენი დროშაც ამიტომ მათი სისხლის ფერია...
მზის ნაჭერო, კედელზე დროშად ჩამოკიდულო,
დღეს მეც შენით ვამაყობ, დღეს მეც შენით ვდიდგულობ.
გიყურებ და ბრძოლაში მხოლოდ ფიქრით ვიქრები.
მეხარბება ნამდვილად, ამ ჭოჩორა ბიჭების.
აგერ ძველი „მაქსიმკა“, აგერ ძველი „ტაჩანკა“,
ვხედავ ჩვენმა ჩაპაიმ მტერი როგორ დაჩაგრა.
რაღაც შურით ვუყურებ ბუდიონის ცხენოსნებს,
პირტიტველა ბიჭების რატომ უნდა მრცხვენოდეს?
ვხედავ ცეცხლში გახვეულს ქუჩებსა და მოედნებს,
მე კი დამიგვიანდა... მე კი გვიან მოვედი...
აგერ ის ოქტომბერიც ქარიშხალის სადარი,
მოდის ცხრაასჩვიდმეტი,
საუკუნის ხარდალი.
ავარდნილი გრიგალი ხასახლისკენ დაიძრა:
ხომალდივით
— დიდ ლენინს!
მიპყავს წინ დედამიწა...
ფეხაკრეფით დავდივარ წმინდანების ტაძარში,
თითქოს რევოლუციის წიგნს ვკითხულობ გადაშლილს.

ტურისტული მატარებელი — „საქართველო-ციმბირი“

1.

უკან დარჩა საქართველო.
ელმავალი მიჰქრის
და კუპეში ფოცხვერივით
დაწრიალებს ფიქრი.
ხანჯალივით აპობს ღამეს
ელმავალის თვალი,
ვერ ვისვენებ, ვერ ვიძინებ
ციმბირს მიმავალი.
მელანდება კი არა და...
თითქოს ცხადად ვხედავ,
ბნელ საკანში შებორკილი
ტუსაღები სხედან.
პეტერბურგი... დეკემბრის თვე...
და შემცბარი მეფე,
იმპერიის ზარბაზნები
ძაღლებივით ყეფენ
და ვაჟკაცებს დიდების და
უკვდავების ღირსებს
შენი ყინვის ბორკილებით
უხეხავენ კისერს.
ტახტი, ტყვია და მათრახი
ბარიკადებს უტევს,
ციმბირისკენ ერეკება
ამბოხებულ რუსეთს.

2.

თითქოს ვხედავ ძველ თბილისის
აცრემლებულ ბაქანს,
ბორკილების ჩხარაჩხური
არ მასვენებს აქაც.
განშორების მძიმე უამი:
ოხერა... ცრემლი... კოცნა,
საგზალივით წაღებული
დედის ჩუმი ლოცვა.
ჩემს მიწაზეც წუხილად და
მწუხარებად მოხველ,
ბევრი კერა გაუცივე
საქართველოს ქოხებს.
ცხვირსახოცში გამოკრული
მშობლიური მიწა,
იქ ციმბირში ქართველების
საფლავებად იქცა.

3.

ო, ციმბირო, მაპატიე
ეს უდროო სევდა,
დღეს სხვა მიწას, მე სხვა ციმბირს
სხვა ქვეყანას ვხედავ.
დრომ წაიღო, რაც იყავი.
რაც მომხდარა ადრე.
შენ კი არა, ის ცოდვები
სხვათა კისერს ადევს.
ის ზმანებაც, ის წუხილიც
სიზმარივით გაქრა,
ძმაკაცივით ვესალმები
ახალ ბრატკის ბაქანს.
და ვკითხულობ როგორც რომანს,
პოემებს და ლექსებს:
ტაიგების სასახლეებს,
ქალაქებს და ბეხებს.
მორიდებით დავდივარ და
მოკრძალებით ვუმზერ:
რადიშჩევის, ჩერნიშევსკის,
ევდოშვილის ქუჩებს.
ვეხვევი და ვეხუტები
ჩემს ციმბირელ პაპას.
სიყვარულით გესალმები —
გაცხადებულ ზღაპარს!

ახალი ამბები



სურათებზე: მარცხნივ — მახინჯაურის პანსიონატ „მზიურის“ დამსვენებლები (მარცხნიდან) კინოინოველი მედიკოსი ვ. ტონიჩი, უკრაინელი ტრაქტორისტი ნ. შევჩენკო, თბილისელი ავიომშენებელი მუშა მ. ტაკნიაშვილი, ტულელი რადიოტექნიკოსი ვ. ლებედევი; მარჯვნივ — გაგრის ერთ-ერთი კუთხე — სანატორიუმი „კოლხიდა“, სადაც ახლა ახობით საბჭოთა ადამიანი ისვენებს.

ეკლესიებში...

„ანი“-დან „ჰაე“-მდე

ჟურნალისტის შენიშვნები

ამას წინათ ტელევიზიამ აჩვენა სასამართლო პროცესი. უფრო სწორად რომ ვთქვათ, მისი ფრაგმენტები, კრიმინალისტთა, პედაგოგთა, სახალხორაზმელთა, ჟურნალისტთა კომენტარებით. ასამართლებდნენ ხულიგნებს იმისათვის, რომ კაცს სცემეს.

ისეთი სამარცხვინო მოვლენის განხილვის მოწმედად, როგორიც ხულიგნობაა, ტელემაყურებლები რომ გახდნენ, ეს საწინააღმდეგო მოსაზრებებს არ იწვევდა, პირიქით, სურვილი გაქვს მხარი დაუჭირო ამ ღონისძიებას. აი თვით გასამართლებამ კი, თვით სასამართლო პროცესმა, რომლის ფრაგმენტები მილიონობით ტელემაყურებელმა ნახა, ცოტა არ იყოს გაკვირვება გამოიწვია. სასამართლოს თავმჯდომარე ბრალდებულს რატომღაც „შენობით“ მიმართავდა, ნოტაციებს უკითხავდა მას, შემდეგ კი დედამისსაც, მოწმეს, რითაც ისედაც დაბნეული ქალი დატუქსვილი მოსწავლის მდგომარეობაში ჩააყენა. ერთი სიტყვით, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ირჩეოდა პერსონალური საქმე არ ვიცით — ბრიგადის კრებაზე, არ ვიცით — საბინაო-საექსპლოატაციო კანტორაში.

ალბათ თავმჯდომარე ტელევიზიის კამერების წინ შეეცადა წინ წამოწია სასამართლო პროცესის აღმზრდელობითი მხარე. მაგრამ ეს, ჩემი აზრით, არ გამოვიდა. სასამართლო პროცესი სრულებითაც არ გამოიყურებოდა ისე, როგორც უნდა გამოიყურებოდეს, და არც ისე, როგორც იგი მიმდინარეობს მეტ წილ სასამართლო დარბაზებში. შემდეგ, რიცა ჩვენ ვმსჯელობდით ნანახის თაობაზე, მეუბნებოდნენ: ბრალდებული მაინც მოზარდიაო, რატომ არ შეიძლება ვვეფდი ავუაროთ ზოგიერთ მკაცრ კანონს, რათა ბრალდებულს მეტი გულახდილობა ჩავუნერგოთო და ა. შ. ვითომც დიდი ცოდვა იყოს, „შენობით“ რომ ელაპარაკებოდნენო. მერე რა ზოხდაო?

განსაკუთრებული არაფერი მომხდარა, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ სასამართლოში ჩვეულებრივად თაფლის კვერებს როდი არიგებენ, მეგობრულ შენიშვნებს როდი აძლევენ, არამედ ხშირად თავისუფლების აღკვეთასაც უსჯიან. „შენობით“ ლაპარაკი აქ არამცდა არამც არ შეიძლება. კანონით აკრძალულია.

ცნობილი იურისტი-განმანათლებელი ჩეზარე ბეკარია, რომელმაც თავის დროზე გასოცხადა მთელი რიგი იდეები, შემდეგში სამართლებრივ აქსიომებად რომ იქცნენ, წერდა: „ფორმალურობა და ზეიმურობა აუცილებელია მართლმსაჯულების აღსრულებისას, რათა არაფერი მიეწდოს მოსამართლის თვითნებობას, რათა ხალხმა იცოდეს, რომ მართლმსაჯულება სრულდება მტკიცე წესების საფუძველზე და არა უწესრიგოდ და მიკერძოებით...“

აი სწორედ სამართალწარმოების მტკიცე წესებზე, პროცესუალური კანონის ზუსტად დაცვაზე, სამართალგარჩევის კულტურაზე, მის რიტუალზე — ესე იგი ყოველივე იმაზე, რისგანაც ყალიბდება სასამართლო პროცესის აღმზრდელობითი როლი, — იყო ლაპარაკი იურისტთა ორი დღის კონფერენციაზე, სადაც იწერებოდა ეს შენიშვნები. კონფერენცია ფრიად წარმომადგენლობითი იყო: საბჭოთა იუსტიციის ხელმძღვანელი მოღვაწენი, მეცნიერი იურისტები, პრაქტიკული მუშაკები, კომკავშირისა და პროფკავშირების აქტივისტები. ხოლო ლაპარაკი იყო ხშირად ისეთ რამეებზე, რომლებსაც ზოგჯერ ფუჭ ფორმალობას, წვრილმანებს უწოდებენ: როგორ გვეჭიროს თავი, როგორ ვიცვამდეთ, როგორ მივმართავდეთ და ა. შ. ესე იგი თითქოს საკითხის არა არსზე, არამედ მხოლოდ ფორმაზე, რომელსაც ჩვენ ზოგჯერ რაღაც მეორეხარისხოვნად ვთვლით. მაგრამ სწორედ ყოველივე ამისაგან ყალიბდება სასამართლო პროცესის აღმზრდელობითი მხარე.

განა მნიშვნელობა აქვს, თუ, ვთქვათ, მეცნიერი სიმპოზიუმზე გამოცხადდება კოვბოურაში და ჯინსებში გამოწყობილი? მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას იტყვის. ხომ ასეა? სიმპოზიუმზე მოსული მეცნიერის შესახებ — დიახ, მნიშვნელობა აქვს, თუ რას იტყვის. ხოლო ჩაიცვას როგორც თვითონ ნებავს. მოსამართლეს კი, ყოველად სამართლიანი განაჩენიც რომ გამოიტანოს, უფლება არა აქვს სხდომაზე გულგაღეღილი კოვბოურა ეცვას, ვინაიდან მართლმსაჯულების აღსრულებისას არ შეიძლება აჩაჩულ-დაჩაჩული ვიყოთ, არ შეიძლება რიტუალს გადავუხვიოთ.

და აი კიდევ რატომ მივაქციე ყურადღება ფამილარულობას ტელევიზორში ნაჩვენები პროცესის წარმოებისას, — მას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ის, რომ გადაიქცეს ერთგვარ ოჯახურ სასამართლოდ: სიმპათიურს, რომელსაც „შენობით“ მიმართავენ და რომელიც „გულწრფელად მონანიებული“ შესცქერის მოსამართლეს, — შეცოდება ეპატიოს, ის კი, რომელიც თავხედობს და მგელივით იყურება, — სრული ზომით დაისაჯოს.

დიახ, როგორც ხაზგასმით აღნიშნავდა კონფერენციაზე გაკეთებულ მოხსენებაში სსრ კავშირის იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე ა. ი. სუხარევი, „ყოველი გასამართლების აღმზრდელობითი უკუგება სამოლოო ანგარიშით განისაზღვრება განაჩენის კანონიერებითა და დასაბუთებულობით“. მხოლოდ სამართლიან განაჩენს, როგორც ფინალურ აქტს, შეუძლია დატოვოს კეთილმყოფელი კვალი ბრალდებულის სულშიც და საზოგადოების შეგნებაშიც. მაგრამ სასამართლო პროცესის მთელი რიტუალის, მისი ეთიკის, მისი მკაცრად რეგლამენტირებული წესების მიზანია სწორედ ამ ფინალის — სამართლიანობის მიღწევა.

საბჭოთა სამართლის მიხედვით პროცესის ერთ-ერთი დემოკრატიული საფუძველია — შეჯიბრება. ეს ნიშნავს, რომ ბრალდება ღა დაცვა თითქოსდა ორთაბრძოლაში ებმებიან მოსამართლეთა წინაშე. სასამართლოს ვალია უზრუნველყოს პატიოსანი დუელი, როცა მხოლოდ ფაქტები, დამაჯერებლობა, ლოგიკა გადაწყვეტს ხოლმე სასწორს ამა თუ იმ მხარეს. ამასთან სასამართლო როდი ადგენს „თამაშის წესებს“ — ისინი ზუსტად რეგლამენტირებულია საპროცესო კოდექსით. პრაქტიკულად კი ზოგჯერ ერთ-ერთი მხარე — პროკურორი — აღმოჩნდება ხოლმე უპირატეს მდგომარეობაში.

დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ სხდომებს შორის შესვენებისას პროკურორი ადვილად შედის მოსამართლეთა ოთახში, ადვოკატი კი მორიდებული დაკაკუნების შემდეგ რაღაცის შეკითხვას თუ გაბედავს. ამას ყველა ხედავს. და თუმცა პროკურორი, ვთქვათ, მხოლოდ ამინდის შესახებ უზიარებს მოსამართლეს თავის აზრს, საზოგადოებას შეუძლია იფიქროს, რომ იქ „განაჩენს ადგენენ“. წვრილმანია? მაგრამ რატომ უშვებენ ამას მოსამართლეები?

მე ბევრჯერ ვყოფილვარ სასამართლო დარბაზებში. გამოგონია, თუ როგორ მოხსნიდნენ ხოლმე ადვოკატთა შეკითხვებს, როგორც „ყველაზათვის ნათელს“. პროკურორის შეკითხვას ოშვიათად ხსნიან. მომისმენია საკმაოდ მკვახე რეპლიკები დაცვის მისამართით. კონფერენციაზე კი დიალოგის ასეთი მაგალითიც მოიყვანეს:

ადვოკატი: პროცესის ორი დღის განმავლობაში თავმჯდომარე უარყოფს ყველა ჩემს შუამდგომლობას, რითაც ბრალდებულს არამავეს დაცვის უფლებას. სასამართლოს აციილებას ვუცხადებ.

მოსამართლე: აციილებას? არა, ერთი ამას დამიხედეთ?! აციილებასაც რომ მაძღევს!

ადვოკატი: გთხოვთ შეიტანოთ ეს სიტყვები ოქმში.

მოსამართლე: (მიმართავს დარბაზს) მოქალაქენო, თქვენ მაინც განსაჯეთ, რომელია ჩვენს შორის მართალი...

ეს, რა თქმა უნდა, კურიოზია, მაგრამ ფაქტია, თუმცა ზოგჯერ დაცვის შუამდგომლობათა დაუსაბუთებელი უარყოფა სერიოზულ შედეგებს იწვევს.

ქუთაისში ბრალი დადეს ელექტროძაქანიკური ქარხნის მუშაკებს, რომლებიც ფიქციური დოკუმენტებით იძენდნენ ლაქ-საღებავებს. ბრალდება, რომელმაც დაუჯერა რევიზორთა შემოწმებას, გამოფიფდა იქიდან, რომ ქარხანა საკმარისად იყო უზრუნველყოფილი საღებავებით და აუცილებლობას არ წარმოადგენდა მათი განზე შეძენა. ბრალდებულნი და მათი დამცველები მოითხოვდნენ რევიზორთა დასკვნის შემოწმებას. სასამართლომ არ დაკმაყოფილა ეს შუამდგომლობა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, რევიზორებს არასწორი დასკვნა გამოეტანათ, საღებავები მართლაც არ ყოფილა საკმარისი, და ბრალდებულებმა, მართალია, დაარღვიეს წესი, მაგრამ რეალურ საღებავებს ყიდულობდნენ, ესე იგი, დატაცებას ადგილი არა ჰქონია. სასაძართლო არ გაჰყვა კანონით დადგენილ გზას — სასაძართლო სხდომაზე საგულდაგულოდ შეემოწმებინა ბრალდების თვითეული საბუთი, — არამედ, როგორც იტყვიან, საგამომძიებლო ორგანოების ნებას დაჰყვა, საბრალდებო დასკვნა მიიღო არა როგორც საწყისი მასალა საკუთარი გამოკვლევისათვის, არამედ როგორც განაჩენის კონსპექტი.

ეს მაგალითი რომ მოიყვანა, სსრ კავშირის უმაღლესი სასაძართლოს თავმჯდომარის მოადგილემ ს. გ. ბანიკოვმა თქვა: „ზოგჯერ იქნება ისეთი სიტუაცია, რომ კანონიერი გადაწყვეტილების გამოტანისათვის მოსამართლეებს მოეთხოვებათ პირადი გამბედაობა“. მე დიდხანს ვიფიქრე ამ ფრაზაზე. ავწონ-დავწონე: კიპერბოლა ხომ არ არის აქ. საჭიროა თუ არა გამბედაობა, რომ, უბრალოდ, განაბორგიეცოო კანონი?

— საჭიროა, — დამიმტკიცა თავისი მოსაზრება სერგეი გრიგოლისძემ უკვე ჩვენს პირად საუბარში. — სასაბამართლოზე რაღაც გავლენა ყოველთვის იქნება — საზოგადოებრივი აზრი, პრესა, თუნდაც იგივე — საბრალდებო დასკვნის საბუთები. ყველაფერი ეს რომ თავიდან მოიშორო, პირისპირ დარჩე კანონის წინაშე, ამისათვის სწორედ გამბედაობაა საჭირო.

კონფერენციაზე ბევრი ითქვა პროკურორთა, ადვოკატთა, ექსპერტთა მაღალ პროფესიულ პასუხისმგებლობაზე. სახელმწიფო ბრალმდებლის საქმეა, მაგალითად, უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, როგორც ხაზგასმით აღნიშნა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ მ. პ. მალიარევმა, ზოგჯერ ამ სიტყვის ყველაზე მომზადებულ ნაწილს წარმოადგენს დანაშაულის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეფასება, ხოლო უკიდურესად არასაკმარისად არის შეფასებული საქმის გამო შეკრებილი დამამტკიცებელი საბუთები. მაგალითის სახით ამბ. მალიარევმა ციტატად მოიყვანა სახელმწიფო ბრალმდებლის სიტყვა მოქალაქე მალეევის საქმის გამო, რომელმაც ჩხუბი ატეხა:

— ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პერიოდში, — ამბობდა პროკურორი, — ყველა ხალხი, მიუხედავად თავისი სოციალური და პოლიტიკური წყობილებისა, გადაჭრით ებრძოდა პიროვნების ხელყოფას. ეს ესმოდათ მეფეებსაც და ფილოსოფოსებსაც, მეცნიერებს და, უბრალოდ, პატიოსან ადამიანებს, რომის იმპერიის მონები იყვნენ ისინი, თუ თავისუფალი მოქალაქენი, მეფის რუსეთის მუშები და გლეხები, თუ ჩვენი სამშობლოს მმრომელები.

გასაგებია, პროკურორის სიტყვა მკაფიო, პუბლიცისტური უნდა იყოს. მაგრამ სიტყვების მანჭია რახა-რუხით რიდი მივაღწევთ აღმზრდელობითს ეფექტს. გარდა ამისა, ასეთმა სიტყვამ, რომელიც, როგორც იტყვიან, აშკარად გადამლაშებულია, შეიძლება დამახინჯებულად წარმოადგინოს დანაშაულის სურათი და კონკრეტული ადამიანის დანაშაული. ლოთი მალეევი, ალბათ ძალიან დამნაშავეა, მაგრამ არა გვგონია იმდენად, რომ ლამისაა კაცობრიობის ზნეობრივი პროგრესის მუხრუჭად იქცეს!

კონფერენციის მონაწილეებმა მხარი დაუჭირეს იმას, რომ პროცესის წესში შეტანილ იქნას ზოგიერთი კორექტივი. სახელდობრ, ახლა საბრალდებო დასკვნას თავმჯდომარე კითხულობს, შემდეგ კი მასვე, როგორც წესი, მიჰყავს დაკითხვა. უფრო ლოგიკური იქნებოდა საბრალდებო დასკვნას კითხულობდეს პროკურორი და თვითონვე იწყებდეს ბრალდებულის დაკითხვას. ყურადღება მიექცა სასამართლო დოკუმენტების, პირველ რიგში განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ხარისხის გაუმჯობესებას. ბევრი ითქვა ტექნიკის გამოყენებაზეც.

ყველაფერი ეს, უდავოა, აამაღლებს სასამართლო პროცესის ხარისხს, ესე იგი, მის აღმზრდელობითს ზემოქმედებასაც. ამას აუცილებელია დაემატოს უკვე წმიდა გარეგანი მომენტებიც, რომლებიც განსაკუთრებულ ძალიერ გავლენას ახდენენ სასამართლოსადმი და მაშასადამე, კანონისადმი პატივისცემის აღზრდაზე.

ჩვენ იწყოთ სასამართლოს შენობით. სასიხარულო იყო იმის გაგება, რომ ბევრი სასამართლო ახალ შენობაში გადავიდა. მაგრამ, ჩემი აზრით, ყველა ახალი შენობა როდია სასამართლოსათვის შესაფერისი. შესაძლოა, იმის გამო, რომ ბევრი სასამართლო სრულიად მოუხერხებელ შენობაშია მოთავსებული, ჩემმა სიტყვებმა ღიმილი გამოიწვიოს, მაგრამ, ვფიქრობ, სასამართლოს შენობა უნდა განსხვავდებოდეს ყველა სხვა დანარჩენისაგან, იგი განუმეორებელი უნდა იყოს დასახლებულ პუნქტში, ქალაქის რაიონში. მას ყველა უნდა სცნობდეს, იგი არქიტექტურულად უნდა გამოირჩეოდეს. ვინაიდან სასამართლოს შენობა გავლენას უნდა ახდენდეს გრძნობებზე, პატივსცემას უნდა იწვევდეს იმისადმი, რაც შენობაში ხდება. გასაგებია ფინანსური და სხვა სირთულენი, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ სასამართლოს შენობის გარეგნულ კეთილმოწყობაზე გაწეული ეკონომია არსებითად აზარალებს კანონისადმი პატივისცემის გრძნობის აღზრდას.

თუმცა ზოგიერთი რამ დღესაც შეიძლება გაკეთდეს. დე მე იაძოაართვან კონსერვატიზმი, არქაიზმი, მაგრამ, მაგალითად, მოსამართლის მოსასხამი, თუნდაც არა მოსასხამი, არამედ რამე განსაკუთრებული ჩასაცმელი, თავისთავად ასრულებს აღმზრდელობით როლს. (სხვათა შორის თვით მოსამართლის აღზრდაშიც). ადვილად შეიძლება აქაც ღიმილი მოვრიოს კაცს: აძანაც გიიხსენა რა, იქნებ პარიკიც შემოვიღოთო, იტყვის. და მიუხედავად ყოველივე ამისა, მაინც გავბედავ მტკიცებას, როგორც ამას მრავალი იურისტი ამტკიცებს, რომ სასამართლო პროცესის საწესჩვეულებო მხარე, მათ შორის ისეთი „წვრილმანები“, როგორიც ტანსაცმელია, მეტად მნიშვნელოვანია.

ავიღოთ, მაგალითად, ისეთი მომენტი, როგორიც არის მოწმეთა გაფრთხილება სწორი ჩვენებების მისაცემად. ზოგჯერ კინოში ვხედავთ, თუ როგორ დებს ფიცს მოწმე, რომ იტყვის „მართალს, მხოლოდ მართალს, მარტოოდენ მართალს“. როგორ ხდება ეს ყოველდღიურ პრაქტიკაში? მოსამართლე სხაპასხაპით აცნობს იმ პასუხისმგებლობას, რაც მოწმეს ეკისრება არასწორი ჩვენებისათვის, ასახელებს კოდექსის სტატიათა ნომრებს და ხელს აწერინებს. მოწმე ჩაილუღლუღებს, რომ მისთვის ყველაფერი გასაგებია და ხელს აწერს. არ ვარ დარწმუნებული, რომ ამ დროს ჩადენილ მოქმედებათა აზრი, მასუხისმგებლობის ზომა ყოველთვის დადის იმ ადამიანის შეგნებამდე, რომელიც პირველად არის სასამართლო დარბაზში.

მაგრამ მოწმე რომ თვითონ, თავისი პირით დებდეს ფიცს? სწორედ ფიცს? ვინ იცის, იქნებ ამ ფიცს ვინმე დაეზღვია კიდეც ცრუმოწმეობისაგან.

ცხადია, საქმე მარტო ის კი არ არის, რომ შემოვიღოთ უფრო საზეიმო რიტუალი, არამედ მთავარია შევასრულოთ ის, რაც დღეს გვაქვს.

წელს სექტემბერში იოშკარ-ოლაში ისმენდნენ ნოვოსელოვის საქმეს, რომელსაც ბრალს სდებდნენ ხულიგნობაში. საქმის მოსმენა დანიშნული იყო 10 საათისათვის. პროკურორი მოვიდა 10 საათსა და 25 წუთზე. მაგრამ ვინაიდან კედელზე გაკრულ განცხადებაში ეს საქმე აღნიშნული არ იყო და მოწმეებმა არ იცოდნენ, თუ რომელ დარბაზში უნდა შესულიყვნენ, სხდომა დაიწყო 11 საათზე. სამწუხაროდ, სხდომის შეფერხებით დაწყება სასამართლოებში გამონაკლისი როდია, ეს თითქმის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა. სასამართლო სხდომათა ჩაშლა არც თუ იშვიათია პროცესის მონაწილეთა გამოუცხადებლობის გამო. ამასთან არავინ, როგორც წესი, გამოუცხადებლობის მიზეზებს არ იკვლევს: მიეჩვევნენ.

როგორ არ გავიხსენოთ აქ ვ. ი. ლენინი, რომელიც შენმნაგდა: „...კანონის გარდა, არის კიდევ კულტურული დონე, რომელსაც ვერავითარ კანონს ვერ დაუშორჩილებ“. სასამართლო წარმოების კულტურული დონე კი, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ სრულდებოდეს ყველა დებულება, ყველა „ასო“ საპროცესო კანონისა, რომელშიც არ არის წვრილმანები.

ანბანში არის ასოები, რომლებიც უფრო ხშირად იხმარება, ვიდრე სხვანი, მაგრამ არ არის ასო „ანი“-დან „ჰაე“-მდე (სასვენი ნიშნების ჩათვლით) ურომლისობაც შეიძლებოდეს. ასეთი არ არსებობს. ვერც პოემას, ვერც ტრაქტატს ვერ დაწერ მთელი ანბანის გამოუყენებლად. გავბედავ და მასვე მივაწერ კანონის „ასობს“. მეორეხარისხოვანი არ არსებობს. ამოვარდება ერთი მთელი და სადღაც აუცილებლად აკლდერდება ყალი რითმა. და ვერ შეიქმნება ჩინებული პოემა, რომელსაც ჰქვია სამართლიანობა.

ი. ფეოფანოვი.

„იზვესტია“, 3-XII.

ვ. გომელაურის მემორიალი

დაწინაურდა ბუზოვსკი

გადადებული პარტიების დამთავრებამ ასეთი შედეგები ძოგვცა: გურგენიძემ ძოუგო უბილავას, ლებლედომ — შხაპიკს, ტუზოვსკიმ თანმიმდევრულად ითამაშა ბოხოსიანთან, ზუსტი მანევრებით გაზარდა თავისი უპირატესობა და მოიგო. საერთაშორისო ტურნირის დებიუტანტი ტუზოვსკი წარმატებით იბრძვის — ახლა მას ორი მოგება და 4 ყაიმი აქვს.

გოგლიძის მეორე მემორიალში გამარჯვებული ბაგიროვი ამჯერად უღიმღამოდ თამაშობს. იგი ყაიმს დასჯერდა ნიჩევსკისთან.

სავსებით ცხადია, რომ საპრიზო ადგილებისათვის ბრძოლაში უცხოელთაგან ანგარიშში უნდა გაგუწოთ კინს, შმიდტსა და ჩოკილტიას. კინი გამოცდილი, ძლიერი პროფესიონალი მოჭადრაკეა, თუმცა ფორმალურად უმაღლეს საჭადრაკო წოდებას არ ატარებს, მაგრამ ნამდვილი გროსმაისტერის კლასი აქვს. საინტერესოა, რომ იანვარში კინი ჰასტინგსში ითამაშებს. მარტში — ზაგრების უდიდეს „მშვიდობის ტურნირში“, სადაც ფიშერი და კარპოვიც არიან მიწვეულნი. შმიდტი ლიდერად ჯგუფშია, მაგრამ რამდენიმე პარტიაში უკეთესი მდგომარეობა ვერ გამოიყენა, — ეტყობა, იგი თანდათან უკეთ თამაშობს. იგივე ითქმის ჩოკილტიაზეც, რომელიც საერთოდ სოლიდურად, თავისი ძალების ბალანსი რწმენით თამაშობს.

მასპინძელთაგან გაფრინდაშვილია და გუფელდის მხარდამხარ წარმატებით იბრძვის გიორგაძე, რომელსათვის დამახასიათებელია ჩინებული თეორიული მომზადება და მიდრეკილება ინიციატივისაკენ. თავისებურად შედეგი — 5 რიგითი ყაიმი აქვს ხოლმოვს. ამასთან მოსკოველი გროსმაისტერის პარტიების უმეტეს ნაწილში საქმე ნამდვილ ბრძოლამდე არ მისულა.

გუშინ მეექვსე ტურში ტუზოვსკიმ მოუგო ლებლედოს, სიგურიოსსონსა — გურგენიძეს, გიორგაძე-შმიდტი, ნიჩევსკი-უბილავა და ჩოკილტია-კინ ყაიმზე შეთანხმდნენ.

6 ტურის შემდეგ 4 ქულით დაწინაურდა ტუზოვსკი.

ვ. გამრეკელი.

42-ე საკავშირო

პოლუგაევსკის მოუგო ტალს

ეს ჯერჯერობით საკავშირო ჩემპიონატის სტარტის უმნიშვნელოვანესი შედეგია, რადგან პოლუგაევსკიც და ტალიც პირველი ადგილის პრეტენდენტად ითვლებიან.

პარტია გადადებული იყო პოლუგაევსკის უპირატესობით. მოსკოველ გროსმაისტერს ძლიერი გამსვლელი პაიკი ჰქონდა, რამაც გადაწყვიტა კიდეც პარტიის ბედი. ეს ტალის პირველი დამარცხებაა.

სხვა გადადებული პარტიები ასევე დამთავრდა — ვაპანიანმა მოუგო გულკოს, კუპრეიჩიკმა პირველი დამარცხება აგემა საკოს, ვასიუკოვი ყაიმზე შეთანხმდა კუზმინს, ტალმანოვი — კუპრეიჩიკს. რომანიშინ-ბელიავსკის გამმტოვებული პარტია გადიდო რომანიშინის უპირატესობით.

ამრიგად 3 ტურის შემდეგ 2½ ქულით ერთპიროვნული ლიდერი ხდა ახალგაზრდა გროსმაისტერი ვაპანიანი (ერევანი). 2-2 ქულა აქვთ გროსმაისტერებს კუზმინს (ეორონეჟი) ლოგრადი), ვასიუკოვს (მოსკოვი) და ოსტატ დვორეცკის (მოსკოვი). მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ტალმა (რიგა) და გროსმაისტერმა პოლუგაევსკიმ 1,5 ქულა მოაგროვეს.

ტანვაჭრობაში

ისევ ნ. დრონოვი

ნინო დრონოვამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, მაღალი კლასის და წარმატებით გამოვიდა იაპონიის, სსრ კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ჩეხოსლოვაკიის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და კანადის ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო შეხვედრის პირველ დღეს ტოკიოში. იგი პირველი იყო ძელ ასპარეზობაში — 9,6 ქულა, ხოლო თავისუფალ ვარჯიშში პირველი-მეორე ადგილები გაანაწილა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკის სპორტსმენებ ეშერთან. (საკადესი).

ახალი ლექსები

რევოლუციის მუზეუმი

ფეხაკრეფით შევდივარ, როგორც წმინდა ტაძარში.
თითქოს რევოლუციის წიგნს უყურებ გადაშლილს.
მიცქერიან კედლიდან ლეგენდები ხვალისა.
ხმებიც მესმის
ოცდაექვსი
მამაც კომისარისა.
აგერ თივის კარავი და მზის თავშესაფარი,
ერთ დროს მართლაც ბულული, ახლა უკვე ზღაპარი.
აგერ ლაზოს ხატება და თვალები ნთელი,
დიდი რევოლუციის ერთი ხაკმელ-სანთელი.
აგერ უსამართლობის ჯაჭვით შებორკილები.
მართლაც დიდი რუსეთის მართლაც დიდი შვილები
სიკვდილს თვალში უმზერენ და ამაყად მღერიან,
ჩვენი დროშაც ამიტომ მათი სისხლის ფერია...
მზის ნაჭერო, კედელზე დროშად ჩამოკიდულო,
დღეს მეც შენით ვამაყობ, დღეს მეც შენით ვდიდგულობ.
გიყურებ და ბრძოლაში მხოლოდ ფიქრით ვიქრები.
მეხარბება ნამდვილად, ამ ჭოჩორა ბიჭების.
აგერ ძველი „მაქსიმკა“, აგერ ძველი „ტაჩანკა“,
ვხედავ ჩვენმა ჩაპაიმ მტერი როგორ დაჩაგრა.
რაღაც შურით ვუყურებ ბუდიონის ცხენოსნებს,
პირტიტველა ბიჭების რატომ უნდა მრცხვენოდეს?
ვხედავ ცეცხლში გახვეულს ქუჩებსა და მოედნებს,
მე კი დამიგვიანდა... მე კი გვიან მოვედი...
აგერ ის ოქტომბერიც ქარიშხალის სადარი,
მოდის ცხრაასჩვიდმეტი,
საუკუნის ხარდალი.
ავარდნილი გრიგალი ხასახლისკენ დაიძრა:
ხომალდივით
— დიდ ლენინს!
მიპყავს წინ დედამიწა...
ფეხაკრეფით დავდივარ წმინდანების ტაძარში,
თითქოს რევოლუციის წიგნს ვკითხულობ გადაშლილს.

ტურისტული მატარებელი — „საქართველო-ციმბირი“

1.

უკან დარჩა საქართველო.
ელმავალი მიჰქრის
და კუპეში ფოცხვერივით
დაწრიალებს ფიქრი.
ხანჯალივით აპობს ღამეს
ელმავალის თვალი,
ვერ ვისვენებ, ვერ ვიძინებ
ციმბირს მიმავალი.
მელანდება კი არა და...
თითქოს ცხადად ვხედავ,
ბნელ საკანში შებორკილი
ტუსაღები სხედან.
პეტერბურგი... დეკემბრის თვე...
და შემცბარი მეფე,
იმპერიის ზარბაზნები
ძაღლებივით ყეფენ
და ვაჟკაცებს დიდების და
უკვდავების ღირსებს
შენი ყინვის ბორკილებით
უხეხავენ კისერს.
ტახტი, ტყვია და მათრახი
ბარიკადებს უტევს,
ციმბირისკენ ერეკება
ამბოხებულ რუსეთს.

2.

თითქოს ვხედავ ძველ თბილისის
აცრემლებულ ბაქანს,
ბორკილების ჩხარაჩხური
არ მასვენებს აქაც.
განშორების მძიმე უამი:
ოხერა... ცრემლი... კოცნა,
საგზალივით წაღებული
დედის ჩუმი ლოცვა.
ჩემს მიწაზეც წუხილად და
მწუხარებად მოხველ,
ბევრი კერა გაუცივე
საქართველოს ქოხებს.
ცხვირსახოცში გამოკრული
მშობლიური მიწა,
იქ ციმბირში ქართველების
საფლავებად იქცა.

3.

ო, ციმბირო, მაპატიე
ეს უდროო სევდა,
დღეს სხვა მიწას, მე სხვა ციმბირს
სხვა ქვეყანას ვხედავ.
დრომ წაიღო, რაც იყავი.
რაც მომხდარა ადრე.
შენ კი არა, ის ცოდვები
სხვათა კისერს ადევს.
ის ზმანებაც, ის წუხილიც
სიზმარივით გაქრა,
ძმაკაცივით ვესალმები
ახალ ბრატკის ბაქანს.
და ვკითხულობ როგორც რომანს,
პოემებს და ლექსებს:
ტ